

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"

20 მაისი 2025 წელი



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"

20 მაისი 2025 წელი



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(000' ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	6	65,783	57,335
საპროცენტო ხარჯი	6	(16,845)	(16,865)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		48,938	40,470
სესხის გაუფასურების ხარჯი	11	(3,357)	(4,393)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალების შემდეგ		45,581	36,077
სხვა შემოსავალი	7	6,570	5,663
წმინდა ზარალი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე		(14)	(437)
პერსონალის ხარჯები	18	(14,082)	(11,451)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,894)	(2,543)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(8,379)	(7,055)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(370)	837
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		26,412	21,091
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(5,179)	(4,374)
მთლიანი სრული შემოსავალი		21,233	16,717

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 20 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გივი კერესელიძე
 აღმასრულებელი დირექტორი

ლევან ფანჭულიძე
 ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-54 გვერდებზე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(000' ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	6	65,783	57,335
საპროცენტო ხარჯი	6	(16,845)	(16,865)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		48,938	40,470
სესხის გაუფასურების ხარჯი	11	(3,357)	(4,393)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალების შემდეგ		45,581	36,077
სხვა შემოსავალი	7	6,570	5,663
წმინდა ზარალი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე		(14)	(437)
პერსონალის ხარჯები	18	(14,082)	(11,451)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,894)	(2,543)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(8,379)	(7,055)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(370)	837
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		26,412	21,091
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(5,179)	(4,374)
მთლიანი სრული შემოსავალი		21,233	16,717

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 20 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გივი კერესელიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლევან ფანჩულიძე
ფინანსური დირექტორი

*სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
(000' ლარში)*

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	11,691	30,886
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11	215,727	183,374
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები		51	-
სხვა აქტივები	12	1,732	1,423
არამატერიალური აქტივები		500	399
აქტივები გამოყენების უფლებით	13	10,347	6,262
ძირითადი საშუალებები	14	3,966	3,559
სულ აქტივები		244,014	225,903
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	131,761	131,612
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები		185	124
საგადასახადო ვალდებულებები	16	885	1,999
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9	68	121
საიჯარო ვალდებულებები	13	10,816	6,245
სხვა ვალდებულებები	17	919	968
სულ ვალდებულებები		144,634	141,069
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	4,175	4,175
საემისიო შემოსავალი	19	2,068	2,068
გაუნაწილებელი მოგება	19	93,137	78,591
სულ კაპიტალი		99,380	84,834
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		244,014	225,903

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(000' ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარს	4,175	2,068	66,441	72,684
წლის მოგება	-	-	16,717	16,717
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(4,567)	(4,567)
2023 წლის 31 დეკემბერს	4,175	2,068	78,591	84,834
2024 წლის 1 იანვარს	4,175	2,068	78,591	84,834
წლის მოგება	-	-	21,233	21,233
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(6,687)	(6,687)
2024 წლის 31 დეკემბერს	4,175	2,068	93,137	99,380

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (000' ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მიღებული პროცენტი	62,154	53,764
შემოსულობები მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	238,510	193,771
ჯარიმებიდან მიღებული შემოსულობა	5,672	4,976
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(264,134)	(215,245)
სასესხო პორტფელის შეძენა	(3,086)	-
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(9,184)	(7,468)
გადახდილი ხელფასები	(11,142)	(8,529)
სხვა შემოძინებები	2,981	2,323
სხვა გაძინებები	(3,908)	(4,076)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		
შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	78	(437)
სხვა გადახდილი გადასახადები	(3,286)	(3,353)
გადახდილი მოგების გადასახადი	(6,380)	(1,658)
გადახდილი პროცენტი	(17,053)	(16,691)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(8,778)	(2,623)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების		
გაყიდვა	8	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების		
შესყიდვა	(1,619)	(1,756)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,611)	(1,756)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები, თამასუქების		
გარდა	31,819	32,604
ნასესხები სახსრების დაფარვა, თამასუქების გარდა	(32,593)	(2,329)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(1,589)	(1,402)
გადახდილი დივიდენდები	(6,687)	(4,817)
(საფინანსო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)/საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,050)	24,056
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(19,439)	19,677
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	30,886	10,964
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და		
მათ ეკვივალენტებზე	244	245
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11,691	30,886

არსებითი არაფულადი მუხლი წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში 15.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-54 გვერდებზე

შენიშვნა	გვერდი
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი	12
3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ -შეჯამება.....	15
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	31
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	32
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	39
7. სხვა შემოსავალი	39
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	39
9. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება.....	39
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	42

შენიშვნა	გვერდი
11. მომხმარებლებზე გაცემული სესხები.....	42
12. სხვა აქტივები.....	46
13. იჯარები	46
14. ძირითადი საშუალებები	48
15. ნასესხები სახსრები.....	48
16. საგადასახადო ვალდებულებები.....	50
17. სხვა ვალდებულებები.....	51
18. პერსონალის ხარჯები.....	51
19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები	51
20. პირობითი ვალდებულებები	52
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	53
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	54

1. ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს, საქართველოში, თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი, №118, I პავილიონი. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205274273.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის მიზანია გახდეს ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს. კომპანიის საკრედიტო პროდუქტებია სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები. სამომხმარებლო სესხები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს უძრავი ქონებით, სატრანსპორტო საშუალებებით ან ოქროთი. ბიზნეს სესხის უზრუნველყოფას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. გარდა ამისა, კომპანია გასცემს ბიზნეს სესხებს უზრუნველყოფის გარეშე. კომპანიის არასაკრედიტო პროდუქტებია სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიას საქართველოს მასშტაბით აქვს სათავო ოფისი და 34 სერვის ცენტრი (2023: სათავო ოფისი და 31 სერვის ცენტრი).

კომპანიას ჰყავს შემდეგი აქციონერები:

აქციონერები	31 დეკემბერი 2024, %	31 დეკემბერი 2023, %
სს სვის ჰოლდინგს	50.00%	50.00%
ელბოიმ ეიალ	30.00%	30.00%
ამირ იოელი	17.00%	17.00%
პაატა დაიაური	2.00%	2.00%
შპს „ა.ი. ინვესტმენტსი“	1.00%	1.00%
	100.00%	100.00%

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა სს „სვის ჰოლდინგს“, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ბატონი დავიდ ბეჩორი, რომელიც ფლობს სს „სვის ჰოლდინგს“-ის 61%-ს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალს“ ჰყავს შვილობილი კომპანია - შპს „სვის კაპიტალ გრუპი“, რომელშიც ფლობს 100%-იან წილს. შვილობილ კომპანიას 2024 და 2023 წლებში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები (არა-აქტიური საწარმო) და საანგარიშგებო წლების ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს.

(b) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-3 შენიშვნაში.

(b) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(c) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია დამრგვალებული უახლოეს ათასეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

(d) ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და აქციონერებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიისთვის ფუნქციონირებადობის დაშვება მიზანშეწონილია.

ახალი ან გადახდილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ა) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები). 2023 წლის 25 მაისს, IASB-იმ გამოუშვა „მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები“, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგების“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“-ს შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა ფასს აღრიცხვის სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ (შემდგომში, „კომიტეტი“) მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებების და მათთან დაკავშირებული, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების და დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების წარდგენის მოთხოვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების გავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

კომპანია არ მიიჩნევს, რომ ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტმა გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები). 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს მის უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს დაფარვა. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ის შესწორება). ბასს 1-ში „ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით“ შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს იმაზე არსებობს თუ არა უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (ბასს 21-ის შესწორება) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა „გასაცვლელი კურსის არ არსებობა“, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსი არ არსებობს გრძელვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორებას შემოაქვს მოთხოვნა, შეფასდეს თუ როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის - არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც საწარმო დაასკვნის, რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის შესწორებები) 2024 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა შესწორებები „ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში“, რომლებიც ფასს 9-სა და ფასს 7-ს აკორექტირებენ.

მოთხოვნები ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან აღნიშნული თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის (ადრეული მიღებაც ნებადართულია) და უკავშირდება შემდეგს:

ფინანსური ვალდებულებების ელექტრონული გადახდების სისტემის გამოყენებით დაფარვა; და ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების შეფასება, მათ შორის, მდგრადობასთან დაკავშირებული მახასიათებლების მქონე აქტივების.

კომპანია ახალი ცვლილებების გავლენის შეფასების პროცესშია.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება“ ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოადგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ კომპანიის მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ -შეჯამება

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, მიმოხილულია ქვემოთ.

კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება შესაბამისი ბალანსის თარიღებისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც გარიგებების დაკმაყოფილების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტაციის შედეგად წარმოიშვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება. წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება არაფულად მუხლებს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის ნაშთების ლარში/აშშ დოლარში კონვერტაციისთვის გამოყენებული დახურვის კურსები, იყო 2.8068 და 2.6894, შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები

IFRS 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ -ს შესაბამისად, კომპანია თავის ყველა ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის მიხედვით აკლასიფიცირებს. ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ ძირითად კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული, და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებითა და საფასურით, იმ ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება თავდაპირველი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, მაშინ კომპანია აღნიშნულ სხვაობას შემდეგნაირად აღრიცხავს:

- თუ სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებისთვის (მაგ: 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში კომპანია სხვაობას თავდაპირველ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის შემოსულობის ან ზარალის სახით აღიარებს;
- ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას არსებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებული სხვაობის გადავადების მიზნით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია აღიარებს აღნიშნულ გადავადებულ სხვაობას როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსავალი მონაცემები ხდება დაკვირვებადი ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთში: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული (FVOCI) ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს (SPPI).

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს (SPPI).

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივები

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა წარმოებული ფინანსური აქტივებისა.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდურობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, როგორიცაა: თუ როგორ ფასდება ბიზნეს მოდელის შედეგები და ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება.

სავაჭროდ ფლობილი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზანი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და არც ფინანსური აქტივების გაყიდვა.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ კლასიფიკაციის განსაზღვრისთვის, კომპანიამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასთანაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან ოდენობებს, რომლებიც წარმოიშობა ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში და გავლენა ჰქონდეს იმაზე აკმაყოფილებს თუ არა ინსტრუმენტი SPPI პირობებს.

თუ SPPI-ის პირობები დარღვეულია, მსგავსი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, მიღებული პროცენტი კი აღიარდება „სხვა საპროცენტო შემოსავლის“ სახით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება (ე.ი. ამოღებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებები, ან ნაკისრი აქვს ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფულადი ნაკადები მთლიანად, არსებითი დაგვიანების გარეშე, მესამე მხარის მიმართ ‘pass-through’ შეთანხმების ფარგლებში; ან (ა) კომპანია გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ სარგებელს, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პრინციპების საფუძვლები

ფასს 9-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს მისი ყველა სასესხო ფინანსური აქტივისთვის, რომელიც ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით არის შეფასებული.

ფასს 9 მოთხოვნები გაუფასურებაზე არ ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს.

გაუფასურების ანარიცხი დაფუძნებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობასთან, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი დაფუძნებულია ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი დაფუძნებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებაზე.

„მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელი ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე. კომპანია თავდაპირველად ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ სესხებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და სესხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ რომელთათვისაც არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული სესხები დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ტოლი ოდენობით, რაც აღნიშნული გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების 100%-იან დეფოლტის ალბათობას გამოხატავს.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
სატრანსპორტო საშუალებები	0-30	31-90	>90
ოქრო	0-30	31-90	>90
უზრუნველყოფის გარეშე	0-30	31-90	>90

კომპანია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადანაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- a) 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- b) სესხის რესტრუქტურისაცია;
- c) მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
- d) მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- e) მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- f) მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;
- g) ბიზნესის იმ სექტორის მნიშვნელოვანი გაუარესება, სადაც საქმიანობს მსესხებელი.

ბოლო სამი შემთხვევის სიმძიმიდან გამომდინარე, სესხი შესაძლოა მესამე ეტაპზე იქნეს გადატანილი.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- h) ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- i) აღინიშნება იმ გარემოებების გაუმჯობესება, რომელთა გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

რესტრუქტურირებული სესხები არ ბრუნდებიან 1-ელ ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე.

დეფოლტის განმარტება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- a) 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- b) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან გაუჩინარება;
- c) უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- d) ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია (ეხება ბიზნეს სესხებს).

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

კომპანია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

სესხის რესტრუქტურირება

რესტრუქტურირების ოპერაცია/ტრანზაქცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში. კომპანიასა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და პროგრამულად იმავე სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება (გადაანგარიშება).

კომპანიისთვის სესხის რესტრუქტურირება საკრედიტო რისკის ცვლილების მაჩვენებელია. რესტრუქტურირებული სესხები არ ექვემდებარება პირდაპირ მე-3 ეტაპზე გადაყვანას, რადგან ასეთი ტიპის მოდიფიცირება არ იწვევს კომპანიისთვის არსებით ზარალებს. შესაბამისად, რესტრუქტურირებული სესხები მე-2 ეტაპზე ხვდება და პირველ ეტაპზე აღარ ბრუნდება.

საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული დეფოლტის რისკის არსებითი ზრდის დასადგენად, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიუღებელი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე ექსპერტის საკრედიტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა საანგარიშგებო თარიღისთვის; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, რომელიც არსებობდა თავდაპირველი აღიარების მომენტში.

საკრედიტო რისკის ზრდის კრიტერიუმის სახით, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა ხდება არაუგვიანეს იმ დროისა, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვთ უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული; და

არ არსებობს არასასურველი არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების ზარალი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობიდან არსებობის მანძილის დეფოლტის ალბათობაზე გადასვლის დროს.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიუღებელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც ითვალისწინებს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

კომპანია ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს, როგორც ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მისი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის შეფასებაში, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

კომპანიამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების ანალიზის საშუალებით, შეაფასა მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა დეფოლტის ალბათობაზე და ამოღების განაკვეთზე. გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი

საპროგნოზო ინფორმაციის განჭვრეტა

კომპანია ბოლო 5 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველწლიურად აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.3-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ამათგან საბაზო სცენარს ანიჭებს 50%-ან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს 25%-ან ალბათობებს. კომპანია იყენებს ვასიჩეკის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას, მოსალოდნელი დეფოლტის დაანგარიშების დროს.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დეფოლტის ალბათობებსა და მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის არ გამოვლენილა მჭიდრო კორელაცია, ამიტომ კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული ეს ფაქტორები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დაანგარიშებისას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ ძირითად ამოსავალ მონაცემებს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურა წარმოადგენს:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე ფასდება. აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი კორექტირდება სამომავლო პროგნოზების ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლებულია ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის გამოთვლა.

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირებს რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. დეფოლტის ალბათობის შეფასება ხდება დაქვემდებარებულების სახელშეკრულებო დაფარვის ვადების გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 5 წლის სტატისტიკას ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ 2 წლისა. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი კალათიდან მეორე კალათაში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

კალათი	ვადაგადაცილებული დღეები	რესტრუქტურიზაციის სტატუსი	ეტაპი
1	დახურული		
2	0	არა	I
3	1-30	არა	I
4	31-60	არა	II
5	61-90	არა	II
6	0-90	კი	II
7	>90	კი	III
8	>90	არა	III

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD)

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD): EAD წარმოადგენს საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, მოსალოდნელი დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტებს.

დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი ფასდება დაუფარავი სესხის ოდენობიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები საპროგნოზო ვადაგადაცილების მომენტამდე და დარიცხული პროცენტი ვადაგადაცილების მომენტიდან სესხის დეფოლტის მომენტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს დაუფარავ ნაშთს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს). „დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში“ გამოითვლება პორტფელის საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში თითოეული წლისთვის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 5 წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო თარიღამდე განხორციელებული თანხის შემოძინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადების შემოძინებები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოცემულია „დეფოლტის ალბათობების“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხების“ დიაპაზონები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლებში:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	PD	LGD	PD	LGD
სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები				
ეტაპი 1	3.5% - 12.2%	58.2%	3.8% - 2.4%	58.1%
ეტაპი 2	7.9%-78.8%	58.2%	10.2%-78.5%	58.1%
ეტაპი 3	100%	58.2%	100%	58.1%

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	PD	LGD	PD	LGD
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
ეტაპი 1	2.5% - 10.3%	33.2%	2.7% - 9.8%	29.5%
ეტაპი 2	10.1%-75.2%	33.2%	12.6%-71.4%	29.5%
ეტაპი 3	100%	33.2%	100%	29.5%

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	PD	LGD	PD	LGD
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები				
ეტაპი 1	7.1% - 20.4%	17.4%	8.3% - 21.5%	17.5%
ეტაპი 2	46.2%-76.3%	17.4%	76.6%-74.9%	17.5%
ეტაპი 3	100%	17.4%	100%	17.5%

სხვა სამომხმარებლო სესხები უზრუნველყოფის გარეშე	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	PD	LGD	PD	LGD
ეტაპი 1	10.9% - 53%	66.2%	11% - 48.3%	60.5%
ეტაპი 2	28.5%-93.4%	66.2%	33.5%-90.8%	60.5%
ეტაპი 3	100%	66.2%	100%	60.5%

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო ღირებულებაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური აქტივებისთვის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის რეზერვი). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის აღნიშნული შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა კლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთში: „სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნესი მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“, გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაიქვითოს აღიარებული ოდენობები და არსებობს მათი დაკმაყოფილებას განზრახვა წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიცირება ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს და შეფასებული არიან ამორტიზებული ღირებულებით. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეუზღუდავ ფულად სახსრებს მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო დეპოზიტებზე. დეპოზიტების სახით განთავსებული ისეთი თანხები, რომლებსაც 3 თვეზე მეტი ვადიანობა გააჩნიათ, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს ნაღდ ფულად ბანკისთვის წინასწარი მოკლე შეტყობინების შემდეგ, ამასთან შეიძლება განიცადოს მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება ღირებულებაში, ასევე კლასიფიცირებულია, როგორც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისთვის ქმნის შესაძლო დანაკარგების რეზერვს. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოიყენება Standard & Poor's-ის მიერ ფინანსური ინსტიტუტისათვის მინიჭებული რეიტინგი და ამ რეიტინგის შესაბამისი დეფოლტის ალბათობა. კომპანია ყოველწლიურად ატარებს ტესტირებას იმისათვის, რომ განსაზღვროს რამდენად ზუსტად ასახავს რეალობას ფასს 9-ის ფარგლებში დათვლილი დეფოლტის ალბათობა და ასევე, ერთი წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ამისათვის იყენებს მოდელის დეფოლტის ალბათობის ისტორიულ მონაცემებს. ტესტის შედეგები მიიჩნევა მისაღებად თუ ისტორიული დეფოლტის განაკვეთსა და მოდელის PD-ის შორის სხვაობა არ აღემატება ერთ სტანდარტულ გადახრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია ადგენს გადახრის გამომწვევ მიზეზებს და ამ მიზეზების ბუნების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს მაკორექტირებელ ქმედებებს.

კომპანიის მიერ დათვლილი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის არსებითი.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსულობებსა და აღდგენის ღირებულებას შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სესხების პერიოდის განმავლობაში, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

საიჯარო ვალდებულებები ფასდება იჯარის ვადის განმავლობაში მეიჯარეზე გადასახდელი სახელშეკრულებო თანხების მიმდინარე ღირებულებით. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აქტივები გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება საიჯარო ვალდებულებების ოდენობით, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები, და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულება იზრდება დაუფარავ ნაშთზე მუდმივი განაკვეთით დარიცხული პროცენტის ოდენობით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივები გამოყენების უფლებით ამორტიზებულია წრფივი მეთოდით იჯარის დარჩენილი ვადის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. აქტივები გამოყენების უფლებით მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში იცვითებოდა 2-12 წლის ვადაზე.

როდესაც კომპანია ცვლის საიჯარო ვადის მისეულ შეფასებას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა მოიჯარის მიერ იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლების გამოყენების ალბათობა), კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, განახლებულ საიჯარო პერიოდში განსახორციელებელი საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტირების განაკვეთით, რომელიც გამოიყენებოდა იჯარის დაწყების თარიღისთვის. საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაიხედება, როდესაც კორექტირებულია მომავალი საიჯარო გადახდების ცვლადი ელემენტი, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთზე ან ინდექსზე. ორივე შემთხვევაში, გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებაში ხდება ეკვივალენტური კორექტირება, ხოლო გადახედილი საბალანსო ღირებულება ამორტიზირდება დარჩენილი (გადახედილი) საიჯარო ვადის განმავლობაში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა მოიცავს არაფინანსურ აქტივებს, რომელიც კომპანიამ მიიღო ვადაგადაცილებული სესხების დაკმაყოფილებისას. ამ აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მათი მიღებისას და კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება ან მარაგები, სხვა აქტივების ფარგლებში, მათი ბუნების შესაბამისად და იმის მიხედვით არსებობს თუ არა ამ აქტივების აღდგენის განზრახვა და შემდგომ ხდება მათი გადაფასება და ისინი აღირიცხებიან აღნიშნული კატეგორიის აქტივების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების მიხედვით. აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია მარაგებად, შეფასებულია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით. პირვანდელი ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, შესაბამისობის მიხედვით, მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ერთეულთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში და ამ ერთეულის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა მათი თვითღირებულება ან გაუფასურებული ოდენობა განაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მანძილზე, შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
	(წლები)
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი	5
IT აღჭურვილობა	2-5
საიჯარო კეთილმოწყობა	2-12

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მათი გაწევისთანავე და შეტანილია საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარი მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს მსგავსი მინიშნება, ამ აქტივის ანაზღაურებადი ოდენობა შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ოდენობის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, კორპორატიული აქტივებიც მიეკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველაზე მცირე ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები არ ყოფილა კორექტირებული.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებას ექვემდებარება დაუყოვნებლივ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების განახლებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა აღიარებული აქტივისთვის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის) წინა წლებში გაუფასურების ზარალი, რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარებას ექვემდებარება დაუყოვნებლივ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

პერიოდის მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ერთეულებს. ამ შემთხვევაში, გადასახადი ასევე აღიარდება, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოითვლება ბალანსის თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე იმ ქვეყანაში, სადაც კომპანია საქმიანობს და სადაც იგი გამოიმუშავებს დასაბეგრ შემოსავალს. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს საგადასახადო დეკლარაციებში დაკავებულ პოზიციებს იმ სიტუაციებთან დაკავშირებით, როდესაც მოქმედი საგადასახადო რეგულაციები ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ადგენს დებულებებს, საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ოდენობების მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო საფუძვლებს და ფინანსურ ანგარიშგებაში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის წარმოშობილ დროებით სხვაობებზე.

თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღირიცხება თუ იგი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას გარიგებაში, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს შერწყმას, რომელსაც გარიგების დადების დროისთვის არ აქვს გავლენა არც სააღრიცხვო, არც დასაბეგრ მოგებაზე და ზარალზე. გადავადებული მოგების გადასახადი განისაზღვრება ბალანსის თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების (და კანონმდებლობის) გამოყენებით და მოსალოდნელია, რომ მათი გამოყენება მოხდება დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის რეალიზაციის ან გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების დაფარვისას.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგება იქნება ხელმისაწვდომი, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარულია, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგვრას დაქვემდებარებულ საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს, როდესაც არსებობს ნაშთების წმინდა საფუძველზე დაკმაყოფილების განზრახვა.

სააქციო კაპიტალი, საემისიო შემოსავალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით.

სააქციო კაპიტალის გაზრდისას, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობას და მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც საემისიო შემოსავალი.

სხვა რეზერვები წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებს, რომლებიც გადაეცათ უკვე არსებულ აქციონერებს სააქციო კაპიტალში წილის უსასყიდლოდ გასაზრდელად.

ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებაში დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის მიხედვით, საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით, გადავადდება ხელშეკრულების მხარეებს შორის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა სხვა პრემიის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი საკომისიო მოიცავს საწარმოს მიერ მიღებულ ან გადახდილ საკომისიოს, რომელიც უკავშირდება ფინანსური აქტივის შექმნას ან შეძენას ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებას, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიებისა ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკების და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საკომისიო.

ყველა სხვა საკომისიო, და სხვა შემოსავალი და ხარჯები, როგორც წესი აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული გარიგების დასრულების მიხედვით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანად გასაწევი მომსახურების პროპორციის სახით.

საპროცენტო შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პუნქტში „საპროცენტო შემოსავლის აღიარება“.

პერსონალის ხარჯები და დაკავშირებული სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულია კომპანიის დასაქმებულების მიერ.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კომპანია მომავალთან დაკავშირებით გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს აკეთებს. შეფასებები და მსჯელობები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

დაშვებები და შეფასებები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ განხილულია ქვემოთ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასება. ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა (PD); დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ ამოსავალ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD); ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც მოელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების სამომავლო მოძრაობასთან და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასება. იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება ფინანსურ აქტივზე საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის განსაზღვრისთვის მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში ჩართვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მოდელების შერჩევა და დამტკიცება.

საიჯარო ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც გამოყენებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზსგ-ს შესაფასებლად. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

სხვა საფინანსო დაწესებულებების მსგავსად, კომპანია ექვემდებარება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის რისკებს. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზნები, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი შეფასების მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

რისკების მართვა ფუნდამენტურია ბიზნესისათვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია კომპანიის საოპერაციო საქმიანობისთვის. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი;
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეკმნება რისკები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,691	30,886
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	215,727	183,374
სხვა ფინანსური აქტივები	180	477
ნასესხები სახსრები	131,761	131,612
სხვა ფინანსური ვალდებულებები	919	968
საიჯარო ვალდებულებები	10,816	6,245

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკის დონეებისა და საზღვრების დაცვის მუდმივი მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში, პროდუქტებში და შეთავაზებულ მომსახურებაში ცვლილებების და ასევე უკანასკნელი საუკეთესო პრაქტიკების ასახვის მიზნით.

სამეთვალყურეო საბჭო, კომიტეტებთან ერთად, პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

როგორც გარე ისევე შიდა რისკის ფაქტორები არის გამოვლენილი და იმართება კომპანიის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების სრული სპექტრის იდენტიფიცირებას და მოკლევადიანი რისკების შემცირებაზე მიმართული პროცედურების სანდოობის შემოწმებას. გარდა სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, ხელმძღვანელობა აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს საოპერაციო დანაყოფებთან მუდმივი შეხვედრებითა და სხვადასხვა ექსპერტების პროფესიონალურ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიშობა სასესხო და სხვა გარიგებებიდან კონტრაპენტებთან, რაც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდები, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრულია საკრედიტო სახელმძღვანელოთი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ყველა ის აუცილებელი პროცედურა და მოთხოვნა, შესაბამის კონტროლებთან ერთად, რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწივრებად. მათ შორის არის სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგის და ა.შ. პროცედურები.

კომპანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისო-ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსების ან არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

დასაფინანსებელი ბიზნესების სრულყოფილი მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფულადი ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები რეგულარულად წარედგინება უმაღლეს ხელმძღვანელობას, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტებისთვის საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	5,780	24,753
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	215,727	183,374
სხვა ფინანსური აქტივები	180	477
	221,687	208,604

კომპანიის საკრედიტო განყოფილება აკეთებს გაცემული სესხების ვადაგადაცილების ანალიზს. გაცემული სესხების ვადაგადაცილებასა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოცემულია მე-3 და მე-11 შენიშვნებში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდება, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. აღნიშნული რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და სავალუტო კურსების ცვლილება (სავალუტო რისკი) ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებას გამოიწვევს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების პოტენციურმა ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოიშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებების აგრეგირებულ ოდენობებს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	219,901	204,417
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	(142,577)	(137,857)
	77,324	66,560

ინფორმაცია საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის წარმომშობ ვალდებულებებზე მოცემულია ქვემოთ, ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ შენიშვნებში.

კომპანია აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს.

კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მომტანი ყველა აქტივი და საპროცენტო ხარჯის წარმომშობი ყველა ვალდებულება წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, გარდა რამდენიმე სესხისა. ამ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 78,493 ათასი ლარი (2023: 77,083 ათასი ლარი).

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-იან ცვლილებას მოგებაზე ან ზარალზე ექნება 785 ათასი ლარის ოდენობით გავლენა (2023: 771 ათასი ლარი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. კომპანია ექვემდებარება გაბატონებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	სხვა		სულ
	ლარი	აშშ დოლარი	ვალუტები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,038	4,860	1,793
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	215,152	575	-
სხვა ფინანსური აქტივები	180	-	-
	220,370	5,435	1,793
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	104,023	26,266	1,472
სხვა ფინანსური ვალდებულებები	743	169	7
საიჯარო ვალდებულებები	1,322	9,494	-
	106,088	35,930	1,479
ღია საბალანსო პოზიცია*	114,282	(30,495)	314

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	სხვა		სულ
	ლარი	აშშ დოლარი	ვალუტები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,046	13,791	2,049
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	182,651	723	-
სხვა ფინანსური აქტივები	421	37	19
	198,118	14,551	2,068
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	106,413	25,199	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	767	187	14
საიჯარო ვალდებულებები	452	5,793	-
	107,632	31,179	14
ღია საბალანსო პოზიცია*	90,486	(16,628)	2,054

* სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია დებს გარიგებებს მისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში. როდესაც კომპანიის რისკი ითვლება მნიშვნელოვნად, კომპანიის ხაზინა შევა აშშ დოლარი/ლარის ფორვარდულ და სვოპ ხელშეკრულებებში ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებები უზრუნველყოფილია საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები ძირითადად გამოიყენება მომავალ საიჯარო და მიღებული სესხების გადასახდელებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების დასაზღვევად.

ფორვარდული და სვოპ ხელშეკრულებების ძირითადი თანხები შეადგენდა 26,798 ათას ლარსა (9,500 აშშ დოლარი) და 16,758 ათას ლარს (6,231 აშშ დოლარი) 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ფორვარდული და სვოპ ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსულობამ (ზარალმა) შეადგინა 14 ათასი ლარი (ზარალი) და 437 ათასი ლარი (ზარალი), 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად.

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკების მართვის მიზნით, კომპანია ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან დებს აშშ დოლარის/ლარის ფორვარდულ ხელშეკრულებას.

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილების შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

გავლენა მთლიან სრულ შემოსავალზე და კაპიტალზე აქტივების ღირებულებების მიხედვით, ფორვარდული ხელშეკრულებების გავლენის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+20%	-20%	+20%	-20%
ვალუტის კურსის მგრძნობელობა				
აშშ დოლარის გავლენა	(766)	766	26	(26)
სხვა გავლენა	63	(63)	411	(411)
	(703)	703	437	(437)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახელშეკრულებო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკი დგება მაშინ, როდესაც არ ემთხვევა აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადები. ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და მათი მისაღები და გასაცემი პროცენტების შესაბამისობა არის ლიკვიდურობის მართვის ფუნდამენტური პრინციპი. საფინანსო დაწესებულებებს არ ახასიათებს სრული დამთხვევა, რადგან განხორციელებული საქმიანობები ხშირად განუსაზღვრელი ვადების და განსხვავებული სახეობის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ამასთან შესაძლოა გაზარდოს ზარალის გაწევის რისკიც.

„კომპანია“ მართავს მის ლიკვიდურობას ყველა ფულადი ვალდებულების (მათი დაფარვის ვადის დადგომისას) შესასრულებლად საჭირო და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უზრუნველყოფის მიზნით. ლიკვიდურობის პოლიტიკას მიმოიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანია აქტიურად ცდილობს მოახდინოს დაფინანსების ბაზის დივერსიფიკაცია და შეინარჩუნოს მისი სტაბილურობა, რაც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან, თამასუქებს, რათა კომპანიამ შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია რეგულარულად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ლიკვიდურობის მდგომარეობას აკონტროლებს ფინანსური დეპარტამენტი. ნორმალურ საბაზრო სიტუაციაში ლიკვიდურობის მდგომარეობაზე ინფორმაცია პერიოდულად წარედგინება ხელმძღვანელობას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები დაფუძნებულია კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის შიდა წყაროებიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	1,284	65,170	85,749	152,203
სხვა ფინანსური ვალდებულებები	919	-	-	919
საიჯარო ვალდებულებები	219	2,447	11,973	14,639
	2,422	67,617	97,722	167,761

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	1,523	76,638	76,461	154,622
სხვა ფინანსური ვალდებულებები	868	100	-	968
საიჯარო ვალდებულებები	164	1,805	5,692	7,661
	2,555	78,543	82,153	163,251

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ექვემდებარებოდა ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს (იხ. შენიშვნა 15).

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ) და მსესხებლების მიერ დადგენილი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი;
- გამოიმუშაოს კომპანიის აქციონერებისთვის თანაბარზომიერი სარგებელი.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები, შესაბამისად.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ფასს 13 მოითხოვს გარკვეულ განმარტებითი შენიშვნების წარდგენას, რომლებიც მოითხოვს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებული ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობას. სამართლიანი ღირებულების იერარქიას აქვს შემდეგი დონეები:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის ის დონე, რომელშიც კლასიფიცირდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად კლასიფიცირდება სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს წარმოადგენს. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე არსებული ფასია. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, როდესაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას. აქტიურ ბაზარზე ნავაჭრი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და საწარმოს მიერ ფლობილი რაოდენობის ნამრავლის სახით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯას მოითხოვს. საქართველო კვლავ ავლენს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთ მახასიათებელს და ეკონომიკური პირობები კვლავ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს ან ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში და, შესაბამისად, არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონის მიხედვით.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება 1 დონის მიხედვით. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება მე-3 დონის მიხედვით. ამ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია, გარდა მომხმარებლებისთვის გაცემული სესხებისა. მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	65,512	56,906
საბანკო ანგარიშებიდან	271	429
	65,783	57,335
საპროცენტო ხარჯი:		
სესხები და კრედიტებიდან	(16,176)	(16,319)
საიჯარო ვალდებულებებიდან	(669)	(546)
	(16,845)	(16,865)
	48,938	40,470

7. სხვა შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ჯარიმებიდან და სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიოდან	5,672	4,976
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	245	220
სხვა შემოსავალი	653	467
	6,570	5,663

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
მარკეტინგი და რეკლამა	(2,618)	(1,865)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურების ხარჯები*	(1,166)	(1,127)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(799)	(722)
ბანკის საკომისიო	(783)	(803)
დაზღვევა	(666)	(510)
სახარჯი მასალები და საოფისე ინვენტარი	(639)	(564)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(405)	(252)
მოკლევადიანი იჯარები	(205)	(137)
სამივლინებო ხარჯები	(155)	(118)
უსაფრთხოება	(154)	(121)
საწვავი	(131)	(123)
სხვა	(658)	(713)
	(8,379)	(7,055)

*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური შეადგენდა 76 ათასს (2023: 72 ათასი).

9. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება

	2024	2023
1 იანვარს	(121)	(98)
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საგადასახადო ხარჯი	53	(23)
აღიარებაშეწყვეტილი გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-
31 დეკემბერს	(68)	(121)

დროებითი სხვაობები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	აქტივი 2024	ვალდებულება 2024	წმინდა 2024	სრულ შემოსავალზე (დარიცხული)/ დაკრედიტებული 2024
დროებითი სხვაობები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	-	7	(18)
ძირითადი საშუალებები	-	(319)	(319)	(1)
არამატერიალური აქტივები	15	-	15	(2)
სესხები და კრედიტები	9	-	9	(1)
სხვა აქტივები	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	125	-	125	(22)
აქტივები გამოყენების უფლებით	-	(2,068)	(2,068)	(817)
საიჯარო ვალდებულებები	2,163	-	2,163	914
	2,319	(2,387)	(68)	53
საგადასახადო				
აქტივები/(ვალდებულებები)	2,319	(2,387)	(68)	53
გადასახადის ურთიერთგადაფარვა	-	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივები	2,319	(2,387)	(68)	53

დროებითი სხვაობები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	აქტივი 2023	ვალდებულება 2023	წმინდა 2023	სრულ შემოსავალზე (დარიცხული)/ დაკრედიტებული 2023
დროებითი სხვაობები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25	-	25	21
ძირითადი საშუალებები	-	(318)	(318)	(139)
არამატერიალური აქტივები	17	-	17	(8)
სესხები და კრედიტები	10	-	10	3
სხვა აქტივები	-	-	-	(10)
სხვა ვალდებულებები	147	-	147	79
აქტივები გამოყენების უფლებით	-	(1,251)	(1,251)	(114)
საიჯარო ვალდებულებები	1,249	-	1,249	145
	1,448	(1,569)	(121)	(23)
საგადასახადო				
აქტივები/(ვალდებულებები)	1,448	(1,569)	(121)	(23)
გადასახადის ურთიერთგადაფარვა	-	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივები	1,448	(1,569)	(121)	(23)

მოგების გადასახადის წარდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2024	2023
მიმდინარე გადასახადი	(5,232)	(4,351)
დროებითი სხვაობების გავლენა	53	7
საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გავლენა გადავადებულ გადასახადზე	-	(30)
	(5,179)	(4,374)

მოგების გადასახადის ხარჯის შედარება საკანონმდებლო განაკვეთისა და ფაქტობრივი მოგების გადასახადის მიხედვით არის შემდეგი:

	2024	2023
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	26, 412	21,091
მოქმედი საგადასახადო განაკვეთი	20%	20%
თეორიული მოგების გადასახადი	(5,282)	(4,218)
საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გავლენა გადავადებულ გადასახადზე	-	(30)
მუდმივი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	103	(126)
	(5,179)	(4,374)

* საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2022 წელს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან, საფინანსო დაწესებულებები, როგორცაა ბანკები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი პირები, კვლავ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით მათი დასაბეგრი შემოსავლისა და შესაბამისი გამოქვითვების საფუძველზე. შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც განაწილებულ მოგებაზე 15%-იან გადასახადს აწესებს, ზემოაღნიშნულ სუბიექტებზე არ გავრცელდება.

გარდა ამისა, შეიცვალა სესხებზე შესაძლო ზარალების რეზერვებთან დაკავშირებული გამოქვითვებისა და საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრის წესები - მითითება გაკეთდა ფასს აღრიცხვის სტანდარტებზე და არა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესებზე. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 141-ე მუხლს დაემატა მე-5 სექცია, რომელიც 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს და რომელიც განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების ვადებს დარიცხვის მეთოდის მიხედვით. ამ ცვლილების თანახმად, ბანკები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს აღიარებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად. გარდა ამისა, გადახდილი 109-ე მუხლის თანახმად, სესხებზე შესაძლო ზარალებთან დაკავშირებული რეზერვები ახლა გამოიქვითება ფასს აღრიცხვის სტანდარტების საფუძველზე, რაც ანაცვლებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წინა მიდგომას. შედეგად, კომპანიამ სრულად შეწყვიტა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე არსებული დროებითი სხვაობების აღიარება 2022 წლის ბოლოსთვის.

ახალი შესწორება საფინანსო დაწესებულებებს ავალდებულებს, აანაზღაურონ ნებისმიერი საგადასახადო შეღავათი, რომელიც ადრე მიიღეს რეზერვებისა და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლების სხვაობების გამო, რაც გამოწვეულია საგადასახადო წესებსა და ფასს აღრიცხვის სტანდარტებს შორის განსხვავებებით. კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ცვლილებას ჰქონდა დაუყოვნებელი გავლენა გადავადებულ საგადასახადო ნაშთებზე და შესაბამისი მოგების გადასახადზე, რომელიც წინა პერიოდებიდან წარმოშობილ ფინანსურ და საგადასახადო შედეგებს შორის დროებით სხვაობას უკავშირდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობისთვის აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგებები და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღდგენები იქნება ხელმისაწვდომი, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების გამოყენება.

2023 წლიდან, საფინანსო დაწესებულებებისთვის მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-იდან 20%-მდე გაიზარდა, ხოლო დივიდენდები აღარ იბეგრება 5%-იანი დივიდენდის გადასახადით.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები (ნაღდი ფული)	5,911	6,133
საბანკო ნაშთები, მათ შორის მოთხოვნამდე ანაზრები	5,780	4,485
ვადიანი ანაზრები ბანკებში	-	20,268
	11,691	30,886

არცერთი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. საბანკო ნაშთებზე აღიარებული ზარალის რეზერვი იყო არარსებითი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

11. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირი თანხა	227,269	193,551
პროცენტი	4,666	3,943
გაუფასურების რეზერვი	(16,208)	(14,120)
	215,727	183,374

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 145,409 ათასი ლარის და 141,741 ათასი ლარის ოდენობით მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით იყო დაგირავებული, შესაბამისად.

მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 218,024 ათასი ლარია. სესხების საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა 2,297 ათას ლარს შეადგენს. მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 186,355 ათასი ლარია. სესხების საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა 2,981 ათას ლარს შეადგენს.

მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია მომავალი ფულადი ნაკადების გამოყენებით, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია, დისკონტირებული მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადიანობაზე და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

კომპანიამ 2024 წელს შეიძინა ოქროთი და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების პორტფელი, რომლის საერთო ღირებულება 2,764 ათასი ლარია. კომპანიამ ჩაატარა კონცენტრაციის ტესტი ფასს 3-ის შესაბამისად და შედეგად, ოპერაცია არ იქნა მიჩნეული, როგორც საწარმოთა გაერთიანება.

პორტფელის განაწილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ტიპის მიხედვით შემდეგია:

	მთლიანი თანხა	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	27,821	(519)	(183)	(1,393)	(2,095)
სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები	154,940	(2,559)	(675)	(9,682)	(12,916)
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	47,914	(431)	(41)	(468)	(940)
სხვა სამომხმარებლო სესხები უზრუნველყოფის გარეშე	1,260	(61)	(7)	(189)	(257)
	231,935	(3,570)	(906)	(11,732)	(16,208)

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
('000 ლარში)

პორტფელის განაწილება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ტიპის მიხედვით შემდეგია:

	მთლიანი თანხა	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
უძრავი ქონებით					
უზრუნველყოფილი სესხები	21,537	(321)	(244)	(1,096)	(1,661)
სატრანსპორტო საშუალებებით					
უზრუნველყოფილი სესხები	135,444	(2,387)	(713)	(8,160)	(11,260)
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	39,985	(423)	(44)	(526)	(993)
სხვა სამომხმარებლო სესხები					
უზრუნველყოფის გარეშე	528	(11)	(1)	(194)	(206)
	197,494	(3,142)	(1,002)	(9,976)	(14,120)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	23,472	(592)	22,880	3%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,366	(117)	1,249	9%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	242	(73)	169	30%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	165	(74)	91	45%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,576	(1,239)	1,337	48%
	27,821	(2,095)	25,726	8%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	127,339	(2,190)	125,149	2%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	9,188	(543)	8,645	6%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	1,234	(310)	924	25%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	886	(318)	568	36%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	16,293	(9,555)	6,738	59%
	154,940	(12,916)	142,024	8%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	44,740	(627)	44,113	1%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,576	(91)	1,485	6%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	547	(51)	496	9%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	299	(37)	262	12%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	752	(134)	618	18%
	47,914	(940)	46,974	2%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
სხვა სამომხმარებლო სესხები უზრუნველყოფის გარეშე				
- ვადაგადაცილების გარეშე	958	(61)	897	6%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	7	(2)	5	29%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	9	(5)	4	56%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	13	(8)	5	62%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	273	(181)	92	66%
	1,260	(257)	1,003	20%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 ('000 ლარში)

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	17,645	(397)	17,248	2%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	827	(96)	731	12%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	679	(100)	579	15%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	325	(136)	189	42%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,061	(932)	1,129	45%
	21,537	(1,661)	19,876	8%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	110,919	(2,088)	108,831	2%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	8,451	(512)	7,939	6%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	1,448	(315)	1,133	22%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	876	(317)	559	36%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	13,750	(8,028)	5,722	58%
	135,444	(11,260)	124,184	8%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	35,900	(583)	35,317	2%
-31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2,189	(135)	2,054	6%
-31-60 დღემდე ვადაგადაცილება	694	(75)	619	11%
-61-90 დღემდე ვადაგადაცილება	352	(46)	306	13%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	850	(154)	696	18%
	39,985	(993)	38,992	2%

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა ოდენობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
სხვა სამომხმარებლო სესხები უზრუნველყოფის გარეშე				
- ვადაგადაცილების გარეშე	217	(22)	195	10%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	311	(184)	127	59%
-90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	528	(206)	322	39%

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
		არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	3,142	1,002	9,976	14,120
ახალი გამოშვებული ან შეძენილი სესხები	4,526	2	1	4,529
გადატანა ეტაპი 1-ზე	182	(182)	-	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(4,584)	4,584	-	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	-	(5,953)	5,953	-
დაფარული სესხები	(1,846)	(516)	(2,018)	(4,380)
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	-	(342)	(342)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	-	-	(1,728)	(1,728)
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-	152	152
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	2,150	1,969	(262)	3,857
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	3,570	906	11,732	16,208

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
		არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი - არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	3,083	740	10,538	14,361
ახალი გაცემული სესხები	3,886	-	-	3,886
გადატანა ეტაპი 1-ზე	193	(193)	-	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(4,388)	4,388	-	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	-	(5,196)	5,196	-
დაფარული სესხები	(1,703)	(336)	(4,416)	(6,455)
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	-	(478)	(478)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	-	-	(4,709)	(4,709)
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-	75	75
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	2,071	1,599	3,770	7,440
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	3,142	1,002	9,976	14,120

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მოძრაობა გაცემული სესხების მთლიან ოდენობაში იყო შემდეგი:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
		არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი - არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	171,577	6,204	19,713	197,494
ახალი გამოშვებული ან შეძენილი სესხები	319,002	20	4	319,026
გადატანა ეტაპი 1-ზე	8,050	(8,050)	-	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(27,461)	27,461	-	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	-	(11,893)	11,893	-
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	-	342	342
დაფარული სესხები	(267,349)	(7,972)	(8,058)	(283,379)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	-	-	(1,728)	(1,728)
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-	152	152
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	10	-	18	28
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	203,829	5,770	22,336	231,935

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მოძრაობა გაცემული სესხების მთლიან ოდენობაში იყო შემდეგი:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
		არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი	
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი - არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	148,443	4,686	20,862	173,991
ახალი გამოშვებული ან შეძენილი სესხები	255,057			255,057
გადატანა ეტაპი 1-ზე	8,586	(8,586)	-	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(27,181)	27,181	-	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	-	(11,012)	11,012	-
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	-	478	478
დაფარული სესხები	(213,319)	(6,065)	(6,671)	(226,055)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	-	-	(6,028)	(6,028)
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-	75	75
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(9)	-	(15)	(24)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	171,577	6,204	19,713	197,494

ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს სესხის გაუფასურების შეფასებისას, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

12. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსები	1,078	636
დასაკუთრებული უზრუნველყოფის აქტივები	474	310
სხვა მოთხოვნები	180	477
	1,732	1,423

13. იჯარები

კომპანიას საქართველოს მასშტაბით აქვს იჯარით აღებული სათაო ოფისი, მიწა, საწყობი და 34 სერვის ცენტრი (2023: 31 სერვის ცენტრი). კომპანიას 43 კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ამ ფართების იჯარა ფიქსირებულია იჯარის ვადის განმავლობაში და დენომინირებულია აშშ დოლარსა და ლარში. საიჯარო პირობები განისაზღვრება 3-დან 12 წლამდე, 2024 და 2023 წლებში.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, აშშ დოლარსა და ლარში დენომინირებული საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, ზღვრული სასესხო განაკვეთები 7.36 %-13.01%-დან 12.74%-15.49%-მდე დიაპაზონში მერყეობდა (2023: აშშ დოლარში დენომინირებული 6.24%-11.43%, ლარში დენომინირებული 10.74%-15.49%).

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 ('000 ლარში)

აქტივები გამოყენების უფლებით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ფილიალები	სხვა	სულ
2023 წლის 1 იანვარს	7,104	482	7,586
შესყიდვები	503	-	503
საიჯარო პირობების მოდიფიცირების გავლენა	44	-	44
ცვეთა	(1,572)	(81)	(1,653)
გასვლები	(48)	(170)	(218)
2023 წლის 31 დეკემბერს	6,031	231	6,262
შესყიდვები	2,782	-	2,782
საიჯარო პირობების მოდიფიცირების გავლენა	3,203	-	3,203
ცვეთა	(1,768)	(6)	(1,774)
გასვლები	(126)	-	(126)
2024 წლის 31 დეკემბერს	10,122	225	10,347

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ფილიალები	სხვა	სულ
2023 წლის 1 იანვარს	6,807	555	7,362
შესყიდვები	503	-	503
საიჯარო პირობების მოდიფიცირების გავლენა	44	-	44
საპროცენტო ხარჯი	529	17	546
საიჯარო გადახდები	(1,8560)	(92)	(1,948)
გასვლები	(45)	(174)	(219)
უცხოური გაცვლითი კურსის მოძრაობა	(42)	(1)	(43)
2023 წლის 31 დეკემბერს	5,940	305	6,245
შესყიდვები	2,782	-	2,782
საიჯარო პირობების მოდიფიცირების გავლენა	3,203	-	3,203
საპროცენტო ხარჯი	667	2	669
საიჯარო გადახდები	(2,248)	(10)	(2,257)
გასვლები	(126)	-	(126)
უცხოური გაცვლითი კურსის მოძრაობა	301	-	300
2024 წლის 31 დეკემბერს	10,519	297	10,816

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

	2024	2023
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	669	546

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა (-)	(1, 589)	(1,402)
გადახდილი პროცენტი (-)	(669)	(546)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	-2, 258	-1,948

14. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები		IT	საიჯარო		
	საშუალებები	ავეჯი	აღჭურვილობა	კეთილმოწყობა	სხვა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	112	1,207	1,836	2,200	-	5,355
შესყიდვები	167	281	298	854	59	1,659
გასვლები	(30)	(7)	-	(23)	-	(60)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	249	1,481	2,134	3,031	59	6,954
შესყიდვები	11	454	219	734	18	1,436
გასვლები	(9)	-	-	-	-	(9)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	251	1,935	2,353	3,766	77	8,381
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(83)	(683)	(1,176)	(707)	-	(2,649)
წლის ცვეთა	(37)	(181)	(241)	(341)	(-1)	(801)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	30	2	-	23	-	56
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(90)	(862)	(1,417)	(1,025)	(-1)	(3,395)
წლის ცვეთა	(45)	(239)	(267)	(469)	(9)	(1,029)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	9	-	-	-	-	9
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(126)	(1,101)	(1,684)	(1,494)	(10)	(4,415)
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 31 დეკემბერს	159	619	717	2,006	57	3,559
2024 წლის 31 დეკემბერს	125	834	669	2,272	66	3,966

15. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირი თანხა	131,046	130,716
პროცენტი	715	896
	131,761	131,612

კომპანიის ძირითადი კრედიტორები ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებები არიან.

გრძელვადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	72,829	59,310
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	1,878	-
არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა გრძელვადიანი სესხები	157	1,169
არაუზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	3,368	8,068
	78,232	68,547

მოკლევადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	43,045	59,648
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	935	-
არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა მოკლევადიანი სესხები	4,464	3,385
არაუზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	5,085	32
	53,529	63,065
სულ ვალდებულებები	131,761	131,612

საფინანსო დაწესებულებებთან გაფორმებული კონტრაქტების თანახმად, სესხები უზრუნველყოფილია მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების გარკვეული ოდენობებით, დამატებით იხილეთ შენიშვნა 11.

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა გრძელვადიანი სესხები	აშშ დოლარი	6.5%	2026	157	1,169
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	ლარი	5.0%-5.7%+სებ- ის რეფინანსირები ს განაკვეთი / 13%-14.15%	2025-2027	101,744	104,112
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	აშშ დოლარი	7.7%-8%	2025-2026	12,658	14,846
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	ევრო	6-თვიანი EURORIBOR + 4.65%	2027	1,472	-
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	აშშ დოლარი	8%	2025-2026	2,813	-
არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა მოკლევადიანი სესხები	აშშ დოლარი	6% - 7.5%	2025	2,185	1,084
არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა მოკლევადიანი სესხები	ლარი	5.5%+ სებ რეფინანსირები ს განაკვეთი / 14%	2025	2,279	2,301
არაუზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	აშშ დოლარი	8.5%-10%	2025-2026	8,453	8,100
				131,761	131,612

კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ნაწილი შეიცავს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს, რომლებიც დაკავშირებულია ვალთან, კაპიტალურ დანახარჯებთან, ღია სავალუტო პოზიციებთან და კაპიტალის ადეკვატურობასთან, უზრუნველყოფილ/არაუზრუნველყოფილი სესხების პორტფელთან, PAR 90 სესხების თანაფარდობასთან სესხების პორტფელთან მიმართებაში, ROA-სთან, საოპერაციო ხარჯების თანაფარდობასთან შემოსავალთან მიმართებაში, დივიდენდების თანაფარდობასთან წმინდა შემოსავალთან მიმართებაში, აქტივების კაპიტალთან თანაფარდობასთან და კომპანიის საოპერაციო საქმიანობასთან, მის სტრუქტურასთან, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან. კომპანიის ხელმძღვანელობას მუდმივად აქვს კომუნიკაცია კრედიტორებთან აღნიშნულ კოვენანტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეასრულა ყველა კოვენანტი და მოელის, რომ დააკმაყოფილებს მათ სესხების მთლიანი ვადის განმავლობაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის სესხები (გარდა ხელშეკრულების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დასაფარი ნაშთებისა) კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა ერთ-ერთი არაფინანსური კოვენანტი, რომელიც დაკავშირებული იყო ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებიდან აღებულ სესხებთან დაკავშირებულ კაპიტალურ დანახარჯთან. ასეთი სესხების ღირებულებამ შეადგინა 18,000 ათასი ლარი. თუმცა, კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე მიიღო უფლებაზე უარის თქმის წერილი, რომლის მიხედვითაც საფინანსო დაწესებულება არ მოითხოვს სესხების ვადაზე ადრე დაფარვას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებულ სესხებზე წარდგენილია მე-5 შენიშვნაში.

2024 და 2023 წლებში საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ცვლილებები სესხებში, მათ შორის როგორც ფულადი ნაკადებიდან გამომდინარე ცვლილებები, ასევე არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	სხვა სესხები	სულ
2024 წლის 1 იანვარს	127,058	4,554	131,612
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები სესხებიდან*	31,819	-	31,819
სესხების დაფარვა**	(48,484)	(500)	(48,984)
არაფულადი ნაკადები			
- პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	15,707	469	16,176
- უცხოური გაცვლითი კურსის გავლენა	1,040	98	1,138
2024 წლის 31 დეკემბერს	127,140	4,621	131,761

	სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	სხვა სესხები	სულ
2023 წლის 1 იანვარს	95,783	5,150	100,933
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები სესხებიდან*	32,604	-	32,604
სესხების დაფარვა**	(17, 370)	(1,114)	(18,484)
არაფულადი ნაკადები			
- პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	15,782	537	16,319
- უცხოური გაცვლითი კურსის გავლენა	259	(19)	240
2023 წლის 31 დეკემბერს	127,058	4, 554	131,612

* 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 3,316 ათასი ლარის ოდენობით ახალი სესხები იმავე კრედიტორებთან არსებული სესხის ახალი სესხით ჩანაცვლების გზით, საბაზრო პირობებზე.

** 2024 წლის განმავლობაში, სესხების დაფარვის ოდენობა მოიცავს 16,391 ათასი ლარის ოდენობით გადახდილ პროცენტს (2023: 16,155 ლარი)

16. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ყველა გადასახადისთვის მოქმედი ერთიანი საბაზინო კოდის მიხედვით. შედეგად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარადგენს 885 ათასი ლარის და 1,999 ათასი ლარის ოდენობით საგადასახადო ვალდებულებებს, შესაბამისად.

17. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელი ბონუსები	553	446
ვალდებულებები მარკეტინგის კომპანიების მიმართ	214	225
სხვა ვალდებულებები	152	297
	919	968

18. პერსონალის ხარჯები

	2024	2023
ხელფასები	9,606	7,807
ბონუსები	3,077	2,448
სხვა სარგებელი	1,399	1,196
	14,082	11,451

2024 და 2023 წლებში კომპანიის მიერ დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 445 და 420 შეადგინა, შესაბამისად.

19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

აქციონერები	31 დეკემბერი 2024, %	სახეობა	31 დეკემბერი 2023, %	აქციების რაოდენობა, 2024	აქციების რაოდენობა, 2023
სს სვისს ჰოლდინგს	50.00%	ჩვეულებრივი	50.00%	1,250,120	1,250,120
ელბოიმ ეიარლ	30.00%	ჩვეულებრივი	30.00%	749,880	749,880
ამირ იოელი	17.00%	ჩვეულებრივი	17.00%	425,000	425,000
პაატა დაიაური	2.00%	ჩვეულებრივი	2.00%	50,000	50,000
შპს „ა.ი. ინვესტმენტის“	1.00%	ჩვეულებრივი	1.00%	25,000	25,000
	100.00%		100.00%	2,500,000	2,500,000

ყველა აქციის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარია.

საემისიო შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს 2,068 ათასი ლარის საემისიო შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალურ ღირებულებასა და მის მიერ ფაქტობრივად მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის.

დივიდენდები

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდები, და ასევე, აქვთ ყოველ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება კომპანიის წლიურ და საერთო კრებებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წელს აქციონერებზე გამოცხადდა და გაიცა 6,687 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდი (2023: გამოცხადდა 4,567 ათასი ლარის და გაიცა 4,817 ათასი ლარის დივიდენდი). გამოცხადებულმა დივიდენდმა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შეადგინა 2.6748 ლარი (2023: 1.8268)

გამოცხადებული დივიდენდები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

აქციონერის სახელი	2024	2023
სს სვისს ჰოლდინგს	3,343	2,301
ელბოიმ ეიალ	2,006	1,375
ამირ იოელი	1,137	779
პაატა დაიაური	134	75
შპს „ა.ი. ინვესტმენტსი“	67	37
	6,687	4,567

20.პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში, კომპანია წარმოადგენს სამართლებრივი სარჩელებისა და საჩივრების საგანს. თუმცა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი საქმიანობის შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

2018 წლის 5 ივლისს, სებ-ის პრეზიდენტმა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპანია სრულად აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს 2024 წლისთვის, გარდა დაგირავებული აქტივების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობისა, რომელიც 2024 წელს დაირღვა. კომპანიამ საანგარიშგებო თარიღამდე სებ-ისგან მიიღო უფლებაზე უარის თქმის წერილი, რომლის თანახმადაც კომპანიისთვის 2025 წლის 1-ელ მაისამდე აღნიშნული კოეფიციენტის ზღვარი განისაზღვრა 220%-ით. დამატებით, კომპანიამ მიიღო სებ-ისგან უფლებაზე უარის თქმის წერილი საანგარიშგებო თარიღის შემდეგაც, რომლის თანახმადაც აღნიშნული კოეფიციენტის ზღვარი განისაზღვრა 220%-ით, 2026 წლის 1-ელ მაისამდე.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 კალენდარული წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლის საშუალებით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის მშობელი კომპანია, შვილობილი კომპანიები და იმავე დონის შვილობილი კომპანიები); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მათ აძლევს კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- b) კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები;
- c) გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- d) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად, ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, გათვალისწინებულია ურთიერთობის არსი და არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმა. კომპანიასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საიჯარო ვალდებულებები	13		(87)
სხვა ვალდებულებები	17		(437)

დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საიჯარო ვალდებულებები	13	-	(73)
სხვა ვალდებულებები	17	-	(350)

მოგებაში ან ზარალში შეტანილი, დაკავშირებულ მხარეებთან (ძირითადად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები) განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ოდენობები, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არის შემდეგი:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო ხარჯი	6	-	(13)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(74)	-

მოგებაში ან ზარალში შეტანილი, დაკავშირებულ მხარეებთან (ძირითადად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები) განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ოდენობები, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არის შემდეგი:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო ხარჯი	6	-	(10)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	-	(34)

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება:

	<u>2024</u>	<u>2023</u>
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:		
- დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები მათ შორის ხელფასები და ბონუსები	(2,971)	(2,717)

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ დამატებითი თანხები ისესხა ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან. სესხების საერთო ღირებულება 26,450 ათასი ლარია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული მიკროკრედიტების მაქსიმალური ლიმიტი 100 000 ლარიდან 200 000 ლარამდე გაიზარდა. ცვლილება ძალაში 2025 წლის 16 მაისიდან შევა.

2025 წლის 1 იანვრიდან, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 4,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები.

2025 წლის თებერვალში, კომპანიამ შეიძინა 2,388 ათასი ლარის ოდენობის სესხების პორტფელი.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024

წლის 31 დეკემბერს

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

შინაარსი

კომპანიის მოკლე მიმოხილვა.....	1
კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....	1
კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები.....	1
კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა	3
რეგულაციები	4
პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები	5
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	6
ვალდებულებები და დაფინანსება.....	7
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები	7
ძირითადი რისკები და მართვა	8
2025 წლის გეგმების შეჯამება	9

კომპანიის მოკლე მიმოხილვა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ 2009 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმით. თავდაპირველად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2010 წელს სვის კაპიტალი დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. შესაბამისად, კომპანია ანგარიშვალდებულია მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს საფინანსო სფეროში მოქმედ სხვა არარეგულირებულ იურიდიულ პირებთან შედარებით მკაცრ რეგულაციას.

კომპანიის ეფექტურმა მართვამ უზრუნველყო კომპანიის განვითარება, მისი სტაბილურ და ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება. 2011 წელს კომპანიამ შეიცვალა სამეწარმეო ფორმა და ჩამოყალიბდა, როგორც სააქციო საზოგადოება. 2011 წლის ნოემბერში განხორციელდა კომპანიის კაპიტალის გაზრდა აქციათა გამოშვების გზით. კაპიტალის შემდგომი ზრდა აქციათა გამოშვების გზით განხორციელდა 2013 წელს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები წარმოდგენილი არიან როგორც საქართველოს მოქალაქის, ასევე უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების სახით (იხ. ცხრილი).

აქციონერები	31 დეკემბერი 2024, %	31 დეკემბერი 2023, %
სს „სვის ჰოლდინგს“	50.00%	50.00%
ეიალ ელბოიმი	30.00%	30.00%
ამირ იოელი	17.00%	17.00%
პაატა დაიაური	2.00%	2.00%
შპს ა.ი. ინვესტმენტს	1.00%	1.00%
	100.00%	100.00%

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალს“ ჰყავს შვილობილი კომპანია - შპს „სვის კაპიტალ გრუპი“, რომელშიც ფლობს 100%-იან წილს. შვილობილს 2024 და 2023 წლებში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლების ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისად, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდებოდა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ მოცემული მმართველობის ანგარიშგებისგან.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ მმართველობა ხორციელდება აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა არის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც პერიოდულად გადახედვადია.

2024 წელს კომპანიის ორგანიზაციული განვითარების ფარგლებში, მოწვეულ იქნა საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი გრუპი“ რომელმაც განახორციელა არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის დეტალური ანალიზი და შეფასება. კონსულტაციების პროცესში შეიქმნა ფოკუს ჯგუფები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაში. პროცესის დასასრულს „სინერჯიმ“ შეიმუშავა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

- სტრატეგიული ხედვა და დანიშნულება:
 - განისაზღვრა კომპანიის მისია, ხედვა და სტრატეგიული ამოცანები 2030 წლამდე.
 - შემუშავდა განვითარების კონკრეტული გეგმა 2027 წლამდე მასშტაბისა და ფინანსური მაჩვენებლების გასაზრდელად.
- პროცესებისა და ფუნქციების სტრუქტურირება:
 - განისაზღვრა ძირითადი პროცესები, რომლებიც უკავშირდება პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას, რისკების მართვასა და მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდას.
 - გაიწერა ახალი სტრუქტურული რგოლების ჩამოყალიბების გეგმა და შეიქმნა ფუნქციების დეტალური აღწერა.
- ახალი სტრუქტურის დანერგვა:
 - დაწვრილებით გაიწერა მოქმედებები და ვადები ახალი სტრუქტურის სრული განხორციელებისთვის.
 - მკაფიოდ განისაზღვრა საკვანძო როლები და პოზიციები, რომელთა დაკომპლექტება ახალ სტრუქტურაში განსაზღვრულ ვადებში უნდა მოხდეს.
- კოლაბორაციული ფორმატების ორგანიზება:
 - მნიშვნელობა მიენიჭა შეხვედრების ახალი ფორმატების გაშვებას, კერძოდ მმართველი გუნდისთვის თანამშრომლებისა და ბიზნესის საჭიროებისამებრ სხვადასხვა შეხვედრების ფორმატებზე გადანაწილებას, რაც უზრუნველყოფს მართვის უფრო ეფექტიანი მეთოდოლოგიის დანერგვას.

„სინერჯის“ რეკომენდაციების საფუძველზე, კომპანია განვითარდება ახალი სტრატეგიული მიმართულებით, რომელიც მხარს დაუჭერს კომპანიის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას და კონკრეტულ მიზნებსა და სტრატეგიაზე ორიენტირებულ მმართველობას.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის დასაქმებულთა რიცხვი საშუალოდ 445 ადამიანი იყო. მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით კომპანია კვლავ აგრძელებდა მუშაობას დანერგილი სტანდარტით, რომლის ძირითადი პრინციპებია შეჯიბრებითობა და კონკრეტული ვაკანსიისათვის ადეკვატური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლების შერჩევა. კომპანიის მიერ დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების დადება ხდება ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, რაც შესაბამისობაშია შრომის მოქმედ კანონმდებლობასთან.

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში მოქმედი ტრენინგ-ცენტრის მეშვეობით გადამზადდა 80-მდე ახალი თანამშრომელი სატელეფონო ცენტრის, ოქროს ლომბარდის, ბიზნეს დაკრედიტებისა და ავტო სესხების მიმართულებით, ასევე 250-მდე არსებული თანამშრომელი, რომელთაც ჩატარდა ტრენინგები პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების ამაღლებისა და სპეციფიკური საკითხების ცოდნის გაღრმავების მიზნით.

2024 წლის განმავლობაში გეგმის თანახმად ტრენინგ-ცენტრის მეშვეობით/ორგანიზებით ასევე ჩატარდა სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები, როგორც წინა ხაზის თანამშრომლებითვის, ასევე მმართველი გუნდისა და ე.წ. „ბექ ოფის“-ში დასაქმებულთათვის. ზემოთ აღნიშნული სწავლების გეგმა ითვალისწინებდა პროგრამას, რომელიც ეხმარება თანამშრომლებს სწრაფად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის შედეგი და ხარისხი, აიმაღლონ კვალიფიკაცია, კომუნიკაციის უნარები და სხვა.

კომპანიაში არსებულ თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების ტენდენციის შესაბამისად, 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენა საგანმანათლებლო მეთოდოლოგია, ონლაინ ტრენინგების, ტესტირებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის სამართლიანი პირობების არსებობას, რაც გულისხმობს ორივე სქესის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი თავის გამოვლენის, წარმოჩინების თანაბარი შესაძლებლობა, თანაბარ ანაზღაურებასთან ერთად.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

2024 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ციფრული არხების მიმართულებით, კერძოდ:

- MAU-ს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 53% -ით;
- აპლიკაცია სკაპში რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 14%-ით 2023 წელთან შედარებით და მიაღწია 38,617 ერთეულს.

ამასთან, საფილიალო ქსელი გაიზარდა სამი ფილიალით თბილისის მასშტაბით.

კმაყოფილი მომხმარებლების ზრდის და ბაზარზე მოწინავე პოზიციის დაკავების მიზნით, კომპანიაში 2018 წელს საფუძველი ჩაეყარა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს. გასული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ისეთი ტექნოლოგიების დამკვიდრება როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, ჰქვიანი მოწყობილობები, ციფრული არხები. გასული წლის ერთ-ერთ გამოწვევად შეგვიძლია დავასახელოთ ციფრული ტრანსფორმაციის ჭრილში, აპლიკაცია სკაპში რეგისტრირებული მომხმარებლების გაზრდა და ფილიალში მომხმარებელთა ნაკადის განტვირთვა. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის, დაინერგა, აპლიკაცია სკაპში მომხმარებლის “on boarding”-ის გამარტივებული რეგისტრაცია ოფლაინ რეჟიმში. ასევე, ტექნოლოგიური გაუმჯობესების მიმართულებით, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა კლიენტთა მონაცემთა ბაზის სტრუქტურის მიმართულებით, ჩვენი მომხმარებლების უკეთესი გაგნობისა და გადამხდელუნარიანობის ანალიზის ჩატარების მიზნით.

სვის კაპიტალის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 2024 წელს დაფინანსდა რამდენიმე პროექტი, კერძოდ:

2024 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში, სამოქალაქო ორგანიზაცია “ლილიფართან” თანამშრომლობის ფარგლებში, სვის კაპიტალმა დააორგანიზა პლასტმასით დაბინძურებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ტრენინგები და დასუფთავების კამპანიები საქართველოს ორ სოფელში. აღნიშნული აქტივობების გარდა, პროექტი მოიცავდა შეროვილი პლასტმასის ტრანსპორტირებას შესაბამის გადამამუშავებელ ქარხანაში და დასუფთავებულ ტერიტორიებზე ნერგების დარგვას. პროექტი ჩატარდა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაში (კერძოდ, სკოლის მოსწავლეებს შორის) პლასტმასით დაბინძურების საშიშროებებისა და მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით.

2024 წლის დასაწყისში, საქართველოს მთიან რეგიონებში წიგნიერების გავრცელებისთვის ხელშეწყობის მიზნით, შედგა თანამშრომლობა სამოქალაქო ორგანიზაცია „მთიელ წიგნებთან“. ერთობლივი ინიციატივითა და „სვის კაპიტალის“ დაფინანსებით, წიგნები გადაეცემა მთის სოფლებში არსებულ სკოლის ბიბლიოთეკებსა და მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

2025 წელს კომპანია ფოკუსირდება ციფრული არხის განვითარებასა და მომხმარებლისთვის პერსონალიზირებული შეთავაზებების AI ტექნოლოგიით მიწოდებასთან დაკავშირებით. ჩვენთვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება, როგორც ციფრულ, ასევე ოფლაინ სივრცეში მიღებული. სწორედ ამ მიზნით ვგეგმავთ ისეთი ტექნოლოგიებისა და ხელსაწყოების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს და ეფექტურს გახდის ბიზნეს პროცესებს.

ფილიალების ჭრილში საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების მომსახურების შეთავაზება შემდეგნაირია:

	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	აქტივობებით უზრუნველყოფილი	ბიზნეს სესხი	ოქროთი უზრუნველყოფილი	სავალუტო ოპერაციები	ფულადი გზავნილები
პეკინი	✓	✓	✓	✓	✓	✓
გლდანი		✓		✓	✓	✓
ვარკეთილი		✓				
დიდუბე	✓	✓	✓			
დიღომი		✓				
გორი		✓	✓			

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

ქუთაისი	✓	✓	✓	✓	✓	✓
ზუგდიდი	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბათუმი	✓	✓	✓	✓	✓	✓
რუსთავი		✓				
თელავი	✓	✓	✓	✓	✓	✓
გლდანი ს/ც	✓		✓	✓	✓	✓
დადიანი ს/ც		✓		✓	✓	✓
დიდუბე ს/ც		✓		✓	✓	✓
ისანი ს/ც				✓	✓	✓
ვარკეთილი ს/ც	✓		✓	✓	✓	✓
ყაზბეგი ს/ც				✓	✓	✓
ფონიჭალა ს/ც		✓		✓	✓	✓
დიღმის მასივი ს/ც		✓		✓	✓	✓
გლდანი ს/ც 3				✓	✓	✓
ვარკეთილი ს/ც 2		✓		✓	✓	✓
გურჯაანი	✓	✓	✓	✓	✓	✓
რუსთავი (CITY)	✓	✓	✓	✓	✓	✓
მარნეულის ფილიალი		✓		✓	✓	✓
გარდაბნის ფილიალი				✓		
დინამო ს/ც				✓	✓	✓
გლდანი ს/ც #4				✓	✓	✓
პეკინი ს/ც2				✓	✓	✓
ხაშური	✓	✓	✓	✓	✓	✓
ფოთი	✓		✓			
ახალციხე	✓		✓			
ლილო	✓	✓	✓			
300 არაგველი	✓	✓	✓	✓	✓	✓
ყაზბეგი ს/ც 3				✓		

რეგულაციები

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების მიმართულებით:

- მიღებულ იქნა ახალი ბრძანება “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ”. აღნიშნულმა ბრძანებამ ჩაანაცვლა მანამდე არსებული რედაქცია, შესაბამისად ახალი ნორმატიული აქტის ფარგლებში კომპანიაში გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები, რომლის მიზანს კანონმდებლობასთან შესაბამისობა წარმოადგენდა;
- ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომლითაც სრულიად ახალი რეგულირება გააჩინა მომხრებელთა/კლიენტთა პერსონალური მონაცემის დამუშავების კუთხით.

გარკვეული საკითხების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კომპანიაში გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები, კომპანიას გაუჩნდა მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოქმედი ხელშეკრულებების რედაქტირება, სხვადასხვა პროცედურების შექმნა ან/და არსებულში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მათი მორგება მოთხოვნილ რეგულაციებთან;

- ცვლილებები შევიდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე¹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში, აღნიშნული დოკუმენტის ცვლილებით, კომპანიას გაუჩნდა დამატებითი მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოქმედი ხელშეკრულებებში გარკვეული ცვლილებების შეტანა და მათი მორგება მოთხოვნილ რეგულაციებთან;

ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სვის კაპიტალმა უზრუნველყო, როგორც ახალი პოლიტიკა/პროცედურების შემუშავება, ისე არსებული პროცედურების დახვეწა, საოპერაციო პროგრამის განახლება.

პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით წარმოადგენს მიკროსაფინანსო სექტორის 10.8%-იანი¹ წილის მფლობელ ორგანიზაციას ჯამური აქტივებით, რომლის ძირითად ნაწილს (88%) სასესხო პორტფელი შეადგენს.

მიუხედავად არსებული რისკებისა და გამოწვევებისა, კომპანიამ 2024 წელსაც განაგრძო ზრდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის (საპროცენტო მოთხოვნისა და რეზერვების გარეშე) 17%-იან მატებაში გამოიხატა. საერთო ჯამში, 2024 წლის განმავლობაში დაფიქსირდა კომპანიის ჯამური აქტივების 8%-იანი მატება.

2025 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს სასესხო პორტფელის 22.9%-იან ზრდას. ზრდაში გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით მნიშვნელოვანი გააქტიურება.

2024 წლის განმავლობაში კომპანია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი საკრედიტო პროდუქტებით:

- ა. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი;
- ბ. ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი;
- გ. ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხი;
- დ. ბიზნეს სესხი.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის უზრუნველყოფას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. გარდა ამისა, კომპანია გასცემს ბიზნეს სესხებს უზრუნველყოფის გარეშეც. ბიზნეს სესხები გაიცემა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე.


¹ წილის დათვლის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები 2024 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით.
<https://bit.ly/3z5uGXM>

სასესხო პორტფელი, რეზერვების გარეშე (მლნ ლარი)



უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით კომპანიის სასესხო პორტფელის სტრუქტურა შემდეგნაირია:

პორტფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის მიხედვით



სვის კაპიტალის სტრატეგიული მიზანია პორტფელის აქტიურ ზრდასთან ერთად ვადაგადაცილების შედარებით მუდმივი მაჩვენებლების შენარჩუნება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხები შეადგენს მთლიანი პორტფელის 8.6%-ს.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა/გასხვისება არ განხორციელებულა.


ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის აქტივების ზრდის დაფინანსების წყაროებია კაპიტალი, ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან და უცხოური ფონდისგან მიღებული სესხები, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები და თამასუქები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს მისი აქტივების 41%-ს. კაპიტალის ადეკვატური მოცულობით შენარჩუნების მიზნით კომპანიაში მოქმედებს შემდეგი ორი ძირითადი წესი:

- კომპანიის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მისი აქტივების არანაკლებ 30%-ს. აღნიშნულ ზღვართან მიახლოების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია მისი აქტივების ზრდა დააფინანსოს მხოლოდ ახალი აქციების ემისიის, აქციონერებისგან სუბორდინირებული სესხების ან სხვა დაფინანსების მიღების ხარჯზე;
- კომპანიის დივიდენდის განაწილების პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიას შეუძლია დივიდენდის სახით გაანაწილოს მოგების არაუმეტეს 40%-ისა.

სასესხო დაფინანსების ნაწილში კომპანიის მიზანს წარმოადგენს ახალი სესხების საბანკო დაწესებულებებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდვა და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების გეგმაზომიერი შემცირება. 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემების მიხედვით, კომპანიის დაფინანსების (გარდა კაპიტალისა) სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

დაფინანსების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები²

	2021	2022	2023	2024
საერთო საპროცენტო შემოსავალი	35,412	45,737	57,335	65,783
წმინდა ფინანსური შემოსავალი	26,129	32,299	40,470	48,938

² კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდეგნაირად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს სხვა შემოსავალი.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

ადმინისტრაციული დანახარჯები საერთო შემოსავლებთან %	20.2%	17.3%	15.2%	15.58%
პერსონალის ხარჯები საერთო შემოსავლებთან %	20.8%	19.1%	18.2%	19.46%
წმინდა მოგების % (წმინდა მოგება/ საერთო შემოსავლებთან)	26.5%	24.9%	26.5%	29.35%
უკუგება საშუალო აქტივებზე % ³	8.0%	7.8%	8.2%	9.04%
უკუგება საშუალო კაპიტალზე % ⁴	17.6%	18.6%	21.2%	23.05%

2024 წლის საერთო საპროცენტო შემოსავალი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა და 65,8 მილიონი ლარი შეადგინა. 2024 წელს წმინდა ფინანსური შემოსავლის (საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები) მაჩვენებელი 48,9 მილიონი ლარია და 8,5 მილიონი ლარით მეტია წინა წლის იგივე მონაცემზე. ადმინისტრაციული და პერსონალზე გაწეული ხარჯები საერთო შემოსავლების 15.58% და 19.46%-ს შეადგენს, შესაბამისად. წმინდა მოგებამ კომპანიის შემოსავლების 29.35% შეადგინა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი შეადგენს 9.04% და 23.05%-ს.

ძირითადი რისკები და მართვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების იმ ძირითადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვას, რომელთა მიმართაც კომპანიის ოპერაციები სენსიტიურია და რომელმაც შესაძლოა, მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რისკების ამ ჯგუფების მართვისა და მიტიგაციის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და პროცედურები, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები.

რისკის ტიპი	პასუხისმგებელი ერთეული	მართვის მექანიზმი
საოპერაციო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო /რეგულაციების რისკები	საოპერაციო და რისკების დეპარტამენტები	საკანონმდებლო სიახლეების მუდმივი მონიტორინგი; ახალი და არსებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან; კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი შიდა ნორმატიული აქტების, პროცედურებისა და წესების შემუშავება და მუდმივი განახლება; ოპერაციების, ტრანზაქციებისა და დოკუმენტაციის რეგულარული ანალიზი და აუდიტი; ავტორიზაციის დონეები, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.
სავალუტო	ფინანსური დეპარტამენტი	უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პერიოდული შეფასება და ღია სავალუტო პოზიციების დადგენა;

³ უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან.

⁴ უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ მფლობელთა კაპიტალთან.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

		ღია სავალუტო პოზიციების ჰეჯირება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით: დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები, სავალუტო სვოპები და ფორვარდები; ლარში ნომინირებული დაფინანსების წილის ზრდა სასესხო ვალდებულებებში და დოლარული ვალდებულებების მინიმუმაცია.
ლიკვიდურობა	ფინანსური დეპარტამენტი	ფულადი ნაკადების (შემოსავლებისა და გასავლების) შეფასება როგორც საოპერაციო, ასევე გრძელვადიან პერიოდებში; ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის იმგვარი მართვა და სტრუქტურირება, რომ ფულადი გასავლების გათვალისწინებით დაცული იყოს ფულის თავისუფალი ნაშთის დადგენილი რეზერვები; მსხვილი ფულადი გასავლებისთვის ფულადი სახსრების დადგენილი წესით წინასწარი მობილიზების უზრუნველყოფა; სუბორდინირებული სესხებისა და სხვაგვარად მოქნილი ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით თანხების მოზიდვა დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეებისგან.
საპროცენტო	საოპერაციო და ფინანსური დეპარტამენტები	ბაზრისთვის ხარისხიანი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება კანონმდებლობით ნებადართულ კონკურენტულ საბაზრო ფასად; დემპინგური და რისკებთან შეუსაბამო ფასებისა და ფასდათმობებისთვის თავის არიდება; ფინანსირების განაკვეთის შემცირებაზე მუდმივი მუშაობა, კრედიტორებისა და მოზიდული სახსრების ტიპების დივერსიფიკაცია; დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ალტერნატივების შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის ფლობა.

2025 წლის გეგმების შეჯამება

2025 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება. განსაზღვრულია გეგმა, რომელიც დაკავშირებულია საფილიალო ქსელის ზრდასთან, პროგრამული პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებასთან. ასევე, დისტანციური არხების, როგორც გაყიდვების, ასევე, სერვისების განვითარებასთან. კომპანიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებული პროდუქტების ჭრილში მომსახურების ხარისხის ზრდა და მომსახურების დროის შემცირება.

კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტების ფართო სპექტრი, მომსახურების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები ხაზს გაუსვამს კომპანიის მიზანს იყოს ორიენტირებული თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებზე, სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთი მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

დირექტორი	_____	გივი კერესელიძე
-----------	-------	-----------------

ფინანსური დირექტორი	_____	ლევან ფანჩულიძე
---------------------	-------	-----------------


20 მაისი 2025

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

დირექტორი



გიორგი კერესელიძე

ფინანსური დირექტორი



ლევან ფანჭულიძე

20 მაისი 2025